2023 წლის ბიუჯეტი - 2 678 440 ლარი.

კულტურული მემკვიდრეობა

აჭარის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, აღდგენა, ზრუნვა. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ აქტიურად მიმდინარეობს აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაცია, მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურის მოწყობა, არქეოლოგიური კვლება-ძიება და ძეგლების მარკეტინგული მხარდაჭერა.

დასრულდა ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი. **(ბიუჯეტი-409 000 ლარი)** შეიცვალა ბათუმის წმინდა ნიკოლოზის ტაძრის სახურავი; რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებულ ჩხერის ხიდს. **(ბიუჯეტი -156 000 ლარი)**

რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბათუმში, თავდადებულის ქ. N 10-ში, 26 მაისის ქ. N37-ში; რუსთაველის ქ. N31-ში; რუსთაველის ქ. N7-ში, კ. გამსახურდიას ქ. N9-ში არსებულ ურბანულ ძეგლებს **(ბიუჯეტი- 1 178 000 ლარი)** რომლებიც თავიანთი საფასადო სტრუქტურითა და მხატვრული გაფორმებით საინტერესო და მნიშვნელოვან შენობა/ნაგებობებს წარმოადგენენ. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა მაქაცარიას ქ.N-1 ში, წერეთლის ქ.N1 -ში და მელაშვილის ქ.N- 7 ში მდებარე ძეგლებს; კერძოდ: გამოიცვალა სახურავები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა აივნებს. **(ბიუჯეტი- 123 708 ლარი)**

2023 წელს დაფინანსდა არქეოლოგიური ექსპედიციები: (ფიჭვნარის ნაქალაქარი; გონიოს ციხე; პეტრას ციხე; სოფელი ,,ჯაბნიძეები'' სოფელი ,,ზედა მახუნცეთი''(**ბიუჯეტი- 160 000 ლარი)**

დაიწყო ხინოწმინდაში, იოანე ნათლისმცემლის ტაძრის რეაბილიტაცია; **(ბიუჯეტი- 500 000 ლარი)**

დაიწყო გონიო-აფსაროსის სამუზეუმო სივრცის განახლება და პეტრას ციხის ტერიტორიაზე ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა.**(ბიუჯეტი -270 000 ლარი)**

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ძველი ხის სახლი შეიცვალა რომაული ყაზარმის ანალოგით. **(ბიუჯეტი-265 000 ლარი)**

2023 წელს ვიზიტორთა რაოდენობა - გონიო-აფსაროსის მუზეუმ- ნაკრძალს 98 678 ვიზიტორი, ხოლო პეტრას ციხეს 60 650 ვიზიტორი ესტუმრა.

2023 წელს სააგენტომ პირველად მოიპოვა ამერიკის საელჩოს გრანტი (135 000 $) რომელიც პეტრას ციხის კონსერვაციასა და არქეოლოგიური ექსპედიციის დროს აღმოჩენილი მოზაიკის სამუზეუმო სივრცეში განთავსებას ითვალისწინებს.